# პროფესიონალი+

№81

PROFESIONALI



ნიუ დიზაინი
თბილისი. კახეთის გზატკეცილი, ეკ. ბაღდავაძის 20
ტელ:  (032) 271 64 01
მობ:   (591) 00 64 01
E-mail: giorgii2004@gmail.com
www.newdesign.ge

# პროფესიონალი+




www.prof-news.com


მთ.რედაქტორი:
ელა დუდაევი

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:
თბილისი, პ. ინგოროყვას №6
ტელ.: 299-82-60
E-mail:profesionali@mail.ru


ჟურნალი მოქმედებს თავისუფალი პრესის პრინციპით. ავტორი თავად აგებს პასუხს მასალაში მოყვანილი ფაქტების სიზუსტეზე. რედაქცია ყოველთვის არ იზიარებს ჟურნალისტის პოზიციებს და ამავე დროს, არ გამოხატავს, არცერთი პარტიისა თუ პოლიტიკური დაჯგუფების ინტერესებს.

28.07.17. - 28.08.17.

უმორჩილესად გთხოვთ ჩვენი ჟურნალის წარმომადგენლებს მოსთხოვოთ სათანადო მოწმობა



# პარლამენტის პლენარული სხდომა

საქართველოს პრეზიდენტის 2017 წლის 25 ივლისის განკარგულებით, საქართველოს კონსტიტუციის 61-ე მუხლის მეორე პუნქტის შესაბამისად მოწვეული რიგგარეშე სესიის პლენარული სხდომა მუშაობას შეუდგა. დეპუტატებს განცხადებებისთვის რეგლამენტით გათვალისწინებული დრო დაეთმოთ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა გამოსვლები პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებთან დაკავშირებულ პოზიციებს, საქართველოს ევროატლანტიკურ კურსს, ქვეყნის მთავარი სტრატეგიული პარტნიორისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერას შეეხებოდა.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, დავით მათიკაშვილის განცხადებით, უმრავლესობა დაძლევს ვეტოს არა იმიტომ, რომ მას ეს შეუძლია, არამედ იმიტომ, რომ ეს არის აუცილებელი, რათა ქვეყანას ჰქონდეს უკეთესი კანონმდებლობა, თვითმმართველობა და საარჩევნო სისტემა, ვიდრე ის, რაც ,,ნაციონალურმა მოძრაობამ" დატოვა.

,,დღევანდელი რიგგარეშე სხდომის გამართვის მიზეზი რამდენიმე ვეტო გახლავთ, რომელიც პრეზიდენტმა კანონპროექტებს დაადო. ვეტოთა სიმრავლემ საზოგადოებაში გარკვეული აზრი ჩამოაყალიბა, რომ ვეტო, რომელიც წარმოადგენს ძალიან მნიშვნელოვან კონსტიტუციურ ინსტრუმენტს პრეზიდენტის ხელში, ამ კონკრეტულ შემთხვევაში პოლიტიკური ბრძოლის ინსტრუმენტად გადაიქცა, რაც ამ მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ინსტრუმენტის შინაარსთან თავსებადი არ არის. რეალურად, მისი მიზანია არა კონკრეტულ კანონპროექტებთან



მიმართებაში მოტივირებული შენიშვნების საზოგადოებისთვის მიწოდება, არამედ გარკვეული პოლიტიკური ბრძოლა სამომავლო პოლიტიკურ სარბიელზე, რომლისთვისაც ვეტოს ავტორი არცერთ შანსს არ იშურებს", - განაცხადა დავით მათიკაშვილმა.

პარლამენტის წევრის, ანრი ოხანაშვილის განცხადებით, როგორც საკომიტეტო მოსმენების დროს პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებზე მსჯელობისას გამოიკვეთა, წარმოდგენილი შენიშვნები მხოლოდ ჰიპოთეზებს და ვარაუდებს ეფუძნებოდა.

,,ყურადღებით გავეცანით ყველა იმ შენიშვნას, რომელიც წარმოდგენილი იყო პრეზიდენტის შენიშვნებში. საკომიტეტო მოსმენებზე გვქონდა აქტიური მსჯელობა და დისკუსია იმ საკითხებთან დაკავშირებით, რა საკითხებიც შენიშვნების სახით იყო წარმოდგენილი, თუმცა, ყველა საკითხი ეფუძნებოდა მხოლოდ და მხოლოდ ჰიპოთეზას და მიმართული იყო ვარაუდებზე და არა ფაქტებზე, არგუმენტებზე. აქედან გამომდინარე, ვერ დავრწმუნდი, რომ შენიშვნები იყო არგუმენტირებული. აქტიური მსჯელობის და დისკუსიის შედეგად, კომიტეტებმა, მხარი არ დავუჭირეთ პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილ შენიშვნებს", - განაცხადა ანრი ოხანაშვილმა.

დეპუტატი ასევე გამოეხმაურა პარლამენტის წევრების ვიზიტს სასაზღვრო სოფლებში და ღონისძიების ორგანიზატორებს მადლობა გადაუხადა. მისი თქმით, მსგავსი აქტივობები მნიშვნელოვანია და სახელმწიფო არ იშურებს ძალისხმევას, რომ ხალხს გვერდში დაუდგეს.

,,ეს ღონისძიება დაიგეგმა სპორტის და ახალგაზრდობის კომიტეტის ორგანიზებით, მიხეილ ყაველაშვილისა და გორის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის, თენგიზ ხუბულურის ერთობლივი ორგანიზებით, რისთვისაც მინდა, მათ ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო. ჩვენ ვიმსჯელეთ იმ შესაძლო აქტივობებზე და ღონისძიებებზე, რომლებიც უახლოეს მომავალში შეიძლება დაიგეგმოს და რითიც ხელი უნდა შეეწყოს ჩვენი ერთიანი საზოგადოების და ჩვენს ოს დებთან და ძმებთან დაახლოებას და საბოლოოდ, ჩვენი ქვეყნის გაძლიერებას და გამთლიანებას. ჩვენი მთავარი მიზანი იყო ის, რომ ჩვენმა საზოგადოებამ, განსაკუთრებით კონფლიქტურ ზონებში, იგრძნოს ჩვენი თანადგომა. სახელმწიფო ნამდვილად არასოდეს იშურებს ძალას, რომ ამ ხალხს გვერდში დაუდგეს", - განაცხადა დეპუტატმა.

პარლამენტის წევრი, ირაკლი მეზურნიშვილი გამოეხმაურა ოპოზიციის კრიტიკას იმის შესახებ, რომ საქართველო საერთაშორისო მედიის დღის წესრიგში აღარ არის.

,,ბოლო პერიოდში, ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილი ძალიან ხშირად საუბრობს იმაზე, რომ საქართველოს საკითხმა, ზოგადად, დაკარგა აქტუალობა მსოფლიოში, აღარ არის დღის წესრიგში და კეთდება გარკვეული შედარებები. ამის მიღწევა ძალიან მარტივია. საკმარისია, იმ პროვოკაციას წამოვეგოთ, რაც ხშირად არის საქართველოს ტერიტორიაზე და მერწმუნეთ, რომ საქართველო ნამდვილად დაბრუნდება ისევ დღის წესრიგში მსოფლიო მედიაში და გადაფარავს ნებისმიერ თემას", - განაცხადა ირაკლი მეზურნიშვილმა.

მისივე თქმით, მშვიდობისა და სტაბილურობის პოლიტიკა, რომელსაც ხელისუფლება ახორციელებს, მოსახლეობის დაკვეთაა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხის აქტუალობას საქართველოს მთავარი სტრატეგიული პარტნიორის უპრეცედენტო მხარდაჭერაც ადასტურებს.

,,მართლაც აქტუალურია დღეს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხი მსოფლიოში. ეს არის ფაქტი, ამაზე ვისაუბრეთ დღეს და კიდევ ერთხელ ვიტყვი, რომ ჩვენი მთავარი სტრატეგიული პარტნიორის მხრიდან უპრეცედენტო მხარდაჭერა გვაქვს და ეს გამოიხატება იმ რეზოლუციებში, რომელიც შეერთებულმა შტატებმა ბოლო პერიოდში მიიღო. ეს არის მართლაც ძალიან დიდი მიღწევა და ძალიან დიდი რეზულტატი, რისთვისაც მინდა, ძალიან დიდი მადლობა გადავუხადო ჩვენს პრემიერმინისტრს და მთლიანად, საგარეო გუნდს", - განაცხადა ირაკლი მეზურნიშვილმა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ, სოფიო ქაცარავამ პარლამენტის წევრებს საოკუპაციო ხაზზე ჩასვლისა და გორში კომიტეტის სხდომის გამართვისთვის მადლობა გადაუხადა.

,,მინდა მადლობა გითხრათ, ძალიან მნიშვნელოვანი ღონისძიება ჩაატარეთ, რადგან ყველა დონეზე მართლაც არ ვიშურებით არანაირ ძალისხმევას, რომ მშვიდობიანი გზით ჩვენ ეს უდიდესი პრობლემა მოვაგვაროთ", - განაცხადა საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ.

სოფიო ქაცარავას თქმით, იმისთვის, რომ საქართველოს მთლიანობასა და სუვერენიტეტთან დაკავშირებული საკითხები ყოველთვის მაღალ დონეზე იყოს განხილული, ყველა ფორმატი და მექანიზმია გამოყენებული, რისი შედეგიცაა საერთაშორისო მხარდაჭერა.

,,მინდა კიდევ ერთხელ გამოვიყენო ეს შესაძლებლობა და გამოვხატო ჩემი და ჩვენი გუნდის პოზიცია, რაც ყველაზე მტკივნეულ თემას ეხება და ეს არის ჩვენი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი. რა თქმა უნდა, ხაზგასმით მინდა აღვნიშნო კიდევ ერთხელ, რომ ჩვენ ვიყენებთ ყველა ფორმატს და მექანიზმს, ორმხრივს თუ მრავალმხრივს, იმისთვის, რომ ეს თემები ყოველთვის მაღალ დონეზე და ნებისმიერ დონეზე იქნას განხილული და იდგეს საერთაშორისო თანამეგობრობის დღის წესრიგში. ჩვენ ამ მხარდაჭერის შედეგს, რა თქმა უნდა, ყოველდღიურად ვხედავთ. შესაბამისად, ყველა ის სპეკულაცია რასაც ოპონენტების მხრიდან ვისმენთ დროდადრო, ყველანაირად მოკლებულია საფუძველს და ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია. ცალსახაა, რომ ოკუპირებული ტერიტორიების საკითხი კიდევ უფრო აქტუალური ხდება, ეს იმის ფონზე, როდესაც ჩვენ ვხედავთ რუსეთის მხრიდან პროვოკაციულ ქმედებებს", - განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

დეპუტატის განცხადებით, ყველა პარტნიორი აგრძელებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისა და სუვერენიტეტის მტკიცე მხარდაჭერას. სოფიო ქაცარავას თქმით, ბოლო პერიოდში განსაკუთრებით გაიზარდა ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო და აღმასრულებელი წრეების ძლიერი მხარდაჭერა.

საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ ყურადღება

აშშ-ის კონგრესის მიერ ინიცირებულ და დამტკიცებულ რეზოლუციაზე გაამახვილა, რომლის მიხედვით, წარმომადგენლობითი პალატა გმობს რუსეთის მხრიდან განხორციელებულ აგრესიულ ქმედებებს, მათ შორის - საქართველოში.

,,ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციების კონტექსტში ნახსენებია საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. ეს მართლაც უპრეცენდენტო სოლიდარობასა და მხარდაჭერაზე მეტყველებს, რაც კიდევ უფრო მეტად მყარდება ახლო მომავალში ვიცე-პრეზიდენტის მაიკლ პენსის ვიზიტით საქართველოში. რა თქმა უნდა, ეს ძალიან მნიშვნელოვანია ჩვენი ორმხრივი სტრატეგიული პარტნიორობის კიდევ უფრო განვითარებისთვის და გაძლიერებისთვის. კიდევ ერთხელ მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ჩვენი გუნდის საგარეო კურსი არის მხოლოდ ერთი - ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში სწრაფვა და ამას ნამდვილად ალტერნატივა არ აქვს. ჩვენ აუცილებლად გავაგრძელებთ ჩვენს თანმიმდევრულ პრაგმატულ საგარეო პოლიტიკას და დავიცავთ ჩვენი ქვეყნის ეროვნულ ინტერესებს“, - განაცხადა სოფიო ქაცარავამ.

საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა, გიორგი ხატიძემ ყურადღება ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ, ტერორიზმის შესახებ 2016 წლის ანგარიშზე გაამახვილა. მისი განცხადებით, ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლა სხვა კომპლექსურ ღონისძიებებთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, ამ პრობლემების აღმოფხვრის მიზნით ქვეყნების ერთიანობას მოითხოვს. დეპუტატის თქმით, საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში თითოეული ქვეყნის ჩართულობას დიდი მნიშვნელობა აქვს.

,,საქართველო საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფასა და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აშკარად პროგრესირებს. ეს კიდევ ერთხელ აღიარებულ იქნა ჩვენი ქვეყნის სტრატეგიული პარტნიორების მიერ და ხაზგასმით აღინიშნა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ ტერორიზმის შესახებ 2016 წლის ანგარიშში. ჩვენ ვაძლიერებთ საერთაშორისო უსაფრთხოების უზრუნველყოფის და ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის მიმართულებით შესაბამის ინსტიტუციონალურ და სამართლებრივ მექანიზმებს, ასევე, აქტიურად ვთანამშრომლობთ



აშშ-სთან და სხვა პარტნიორებთან, როგორც საერთაშორისო, ისე რეგიონალურ დონეზე“, - განაცხადა გიორგი ხატიძემ.

საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერის, არჩილ თალაკვაძის განცხადებით, საგარეო პოლიტიკაზე საუბრისას შეფასებები კონკრეტულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით უნდა გაკეთდეს. მან ხელისუფლების მიერ საერთაშორისო მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯებსა და აქტივობებზე ისაუბრა და განმარტა, რომ სწორედ ეს კონკრეტული ფაქტები გამოხატავს ხელისუფლების საგარეო პოლიტიკას.

,,ფაქტები ამბობს შემდეგს, რომ ჩვენი ხელისუფლების პირობებში წარმატებით განვახორციელეთ ვიზალიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა და მივიღეთ უვიზო რეჟიმი, ჩვენ მოვაწერეთ ხელი ასოცირების ხელშეკრულებას, ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულებას. რაც შეეხება ამერიკის შეერთებულ შტატებს, ალბათ კმარა მხოლოდ პრემიერ მინისტრის ძალიან მაღალი დონის შეხვედრები აშშ-ის პრეზიდენტ ტრამპთან, ასევე, ვიცეპრეზიდენტ პენსთან. ჩვენ ვნახეთ სენატის, წარმომადგენელთა პალატის რეზოლუციები საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდასაჭერად, ვნახეთ ეკონომიკური ინიციატივები და ვნახეთ, რომ საქართველო აშშ-ს საგარეო დღის წესრიგში კვლავაც მნიშვნელოვან ადგილს იკავებს. ამით უნდა ვიმსჯელოთ, თუ რა საგარეო პოლიტიკა აქვს ჩვენს ხელისუფლებას. რაც შეეხება ნატოს, ამ კვლევებზე, რა თქმა უნდა, კომენტარის გაკეთება ზედმეტია. საზოგადოებამ შეაფასოს, რამდენად გამოხატავს ეს კვლევები მათ განწყობებს, მაგრამ როცა ნატოზე ვსაუბრობთ, ნატოსთან თავსებადობის მიმართულებით ჩვენ გვაქვს ხელშესახები პროგრესი და ეს არის თავად ნატოს შეფასების ანგარიშებში გამოხატული“, - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

უმრავლესობის ლიდერმა პრეზიდენტის მოტივირებულ შენიშვნებთან დაკავშირებითაც გამოხატა პოზიცია.

,,რაც შეეხება კანონმდებლობას, რომელსაც დღეს განვიხილავთ ამ



კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი არის ის, რომ საზოგადოება თქვენ შეგყავდათ შეცდომაში, როდესაც უთხარით, რომ ამ ცვლილებებით თითქოს მმართველი პარტია უპირატესობას იმკვიდრებს საარჩევნო კომისიაში. ეს არის ტყუილი, იმიტომ, რომ ამ ცვლილებებით მმართველ პარტიას და ოპოზიციას ექნება პარიტეტი საარჩევნო კომისიაში, ექნებათ თანაბარი რაოდენობის ადგილები. შესაბამისად, აქ რაღაც ხელის გადაგრეხვაზე ხალხს რომ ესაუბრებოდით, ეს არის ტყუილი. იგივე შემიძლია გითხრათ როდესაც ვსაუბრობდით თვითმმართველობის საკითხებზე. თვითმმართველობის გაძლიერების გარანტიები არის ახალ კონსტიტუციაშიც ჩადებული, ასევე, ამ ცვლილებებით მხოლოდ და მხოლოდ მიზანი არის, რომ გაიზარდოს თვითმმართველობის ეფექტიანობა“, - განაცხადა არჩილ თალაკვაძემ.

საპარლამენტო ოპოზიციის წევრებმა, თინათინ ბოკუჩავამ და სალომე სამადაშვილმა სნოში პრემიერ მინისტრის გამოსვლასთან დაკავშირებით კრიტიკული მოსაზრებები გამოთქვეს.

,,ნაციონალური მოძრაობის“ წევრის, სალომე სამადაშვილის განცხადებით, დამოუკიდებელი სახელმწიფოს პირობებში საქართველო სეკულარული იყო ყოველთვის და გაუგებარია რას ნიშნავს კლასიკური სეკულარული სახელმწიფო.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, ირაკლი კობახიძე საპარლამენტო ოპოზიციის განცხადებებს გამოეხმაურა.

,,საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო. ეს დადგენილია კონსტიტუციით, დადგენილია კონკორდატით და რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, მან გააკეთა ძალიან მკაფიო და გასაგები განცხადება“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

პარლამენტის თავმჯდომარის თქმით, სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის ურთიერთობას საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კონსტიტუციური შეთანხმება აწესრიგებს. ირაკლი კობახიძისთვის გაუგებარია, რატომ აკავშირებენ ოპონენტები ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს სეკულარიზმთან.

,,საქართველოს აქვს მოქმედი კონსტიტუცია, მოქმედი კანონმდებლობა, მათ შორის, კონსტიტუციური შეთანხმება, რომლითაც არის სათანადოდ მოწესრიგებული სახელმწიფოსა და ეკლესიის ურთიერთობა. ეს არის ერთი ხაზგასასმელი საკითხი. რაც შეეხება ევროკავშირთან სეკულარიზმის დაკავშირებას, ევროკავშირში არის ქვეყნები, სადაც არ არის განმტკიცებული სეკულარიზმის პრინციპი, არასეკულარული სახელმწიფოები და ისინი მაინც არიან ევროკავშირის წევრები. შესაბამისად, რა კავშირშია სეკულარიზმი ევროკავშირში გაწევრიანებასთან, არის გაუგებარი. რაც შეეხება საქართველოს, საქართველო არის სეკულარული სახელმწიფო. ეს დადგენილია კონსტიტუციით, დადგენილია კონკორდატით და რაც შეეხება პრემიერის განცხადებას, მან გააკეთა ძალიან მკაფიო და გასაგები განცხადება. გამგები გაიგებს, ვისაც არ უნდა გაგება, ის, ბუნებრივია ვერ გაიგებს ამ ყველაფერს“, - განაცხადა ირაკლი კობახიძემ საქართველოს პარლამენტის რიგგარეშე სესიის პლენარულ სხდომაზე



# სპეციალური პროგრამების განხორციელება ჩვენი ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა

როგორც ცნობილია, დღევანდელი არაპროგნოზირებადი საერთაშორისო გარემო უდიდესი გამოწვევებისა და რისკების წყაროა, განსაკუთრებით ისეთი პატარა სახელმწიფოსთვის, როგორიც საქართველო გახლავთ. ამგვარ გარემოში საფრთხეების თავიდან აცილება და თითოეული შესაძლებლობის გამოყენება, ჩვენი ქვეყნის წარმატებული განვითარებისათვის განსაკუთრებულ მნიშნელობას იძენს. საბედნიეროდ, უკანასკნელ ხანს საქართველოს მაკროეკონომიკური მდგომარეობა ძველ რიტმს უბრუნდება და ბიძგს აძლევს ეკონომიკური ეფექტურობის გაზრდას, რაც სამომავლოდ სწრაფი განვითარების პოტენციალის მანიშნებელია. ასეთ ვითარებაში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმ მექანიზმებს, რომელთა მეშვეობითაც ცალკეული რეგიონების განვითარების პოტენციალის ხელშეწყობა ხდება. ამ სტრატეგიის განუყოფელი ნაწილია, როგორც კონკრეტული პროექტების სამოქმედო პროგრამების, მათი განხორციელების ვადების, ხარჯებისა და დაფინანსების წყაროების განსაზღვრა, ისე – რეგიონებში არსებული ბუნებრივი, მატერიალური, შრომითი და ფინანსური რესურსების ეფექტიანი გამოყენება, ინვესტიციების წახალისება და სოციალური ინფრასტრუქტურის განვითარება. ყველა პრიორიტეტულ საკითხს და მწვავე პრობლემას, რომელიც დღეს სამტრედიის რაიონის ტერიტორიაზე არსებობს, ყურადღებას არ აკლებს ადგილობრივი მუნიციპალიტეტის გამგებელი, ბატონი ვალერი ფოცხვერია, მისი წარმატებული საქმიანობა, არც ჩვენ დაგვრჩენია უყურადღებოდ...



**— ბატონო ვალერი, მოგვიყევით რაიონში არსებული სიახლეების შესახებ...**

— ამა წლის დასაწყისიდან მოყოლებული, მუნიციპალიტეტში მართლაც ბევრი საინტერესო პროექტი განვახორციელეთ და მუშაობა ყველა მიმართულებით ახლაც უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს. დაგროვებული პრობლემების მოგვარება, როგორც სამტრედიაში, ისე მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ეტაპობრივად ხდება. ძირითადი ყურადღება ინფრასტრუქტურული პროგრამების განვითარებას ექცევა. ამ ეტაპზე მიმდინარე სამუშაოების ერთი ნაწილი რეგიონული განვითარების ფონდის მიერ ფინანსდება, ხოლო დანარჩენი პროექტების ღირებულებას ადგილობრივი ბიუჯე-









ტი ანაზღაურებს. ჩვენი გეგმის მიხედვით, მიმდინარე სამუშაოები 2017წლის ნოემბრამდე დასრულდება.

**— უფრო კონკრეტულად ხომ ვერ მოგვახსენებდით?**

— ამ ეტაპზე, აქცენტი მუნიციპალური გზების აღდგენასა და მათი ასფალტო-ბეტონის საფარით დაფარვაზე გვაქვს გაკეთებული. მსგავსი ტიპის სამუშაოები წარმატებით მიმდინარეობს დაბა კულაშში - აღმაშენებლის, თამარ მეფის, გაგოშიძის და 9 აპრილის ქუჩაზე სოფ. მიწაბოგირის მიმართულებით; სოფელ ბაშში — ქვედა ბაშის პირველი მოსაცდელიდან — სოფლის ცენტრამდე; ნაბაკევის თემში — სოფელ ნინუა-კუთხეში; ეწერ-ჯიხაიშის დამაკავშირეელ გზაზე — პატარა ეწრის სასაფლაოდან ე.წ. საწურბლიამდე და სოფელ იანეთში — მე-3 ქუჩაზე წმ. გიორგის სახელობის ტაძრამდე. გარდა ამისა, სოფელ გომში ვაგრძელებთ ხიდ-ბოგირის მშენებლობას, რომლის დაფინანსება 22 000 ლარი ჯდება, ხოლო მუნიციპალიტეტის მთელს ტერიტორიაზე პერმანენტულად ხორციელდება სანიაღვრე არხების რეაბილიტაცია და მოხრეშვითი სამუშაოები.

**— როგორც ვნახეთ, სამუშაოები ქალაქ სამტრედიაშიც მაღალი ტემპებით მინდინარეობს...**

— ზემოთაღნიშნული პროექტები ძალზედ მნიშვნელოვანია მთლიანად სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის, თუმცა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ თვითონ ქალაქის იერსახის გალამაზებასა და პრობლემების მოგვარებას, ცალკე, განსაკუთრებული მიდგომა სჭირდება. სწორედ ამ მიზნით, სამტრედიაში ასფალტო-ბეტონის საფარის დაგება მიმდინარეობს მაიაკოვსკის, დიდგორის, სოლომონ მეფის, ბახტაძის, ახალგაზრდობის, ცაბაძის, ქუთაისის, ხიბლარის, გამრეკელიძის, ქაროსანიძის, პეკინის, ჩოლოყაშვილის, ერისთავის, ნიკურაძის, ორბელიანის, კრავეიშვილის და ნ. ადეიშვილის ქუჩებზე. იგივე ტიპის სამუშაოებს ვახორციელებთ რუსთაველის მე-2 ჩიხში, ბესიკის ქუჩასა და პირველი ჩიხში, არგონავტების ქუჩაზე და პირველ ჩიხში, გამსახურდიას მე-2 შესახვევში, ჭანტურიას მე-2, მე-4 ჩიხში და რესპუბლიკის ჩიხში დავით აღმაშენებლის ტაძრამდე. გარდა ამისა, №1 და ღანირის ბაგა-ბაღს უტარდება კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, მიმდინარეობს მრავალსართულიანი ბინების გადახურვა და ფასადების მოწესრიგება, გზაგამტარ ხიდზე გარემონტდა მოაჯირი, ხოლო ქალაქის ცენტრში ელექტრომონიტორი დამონტაჟდა და მოსაცდელები მოეწყო. ამასთანავე, ახალგაზრდა თაობის განვითარებისა და ცხოვრების ჯანსაღი წესის განსამტკიცებლად ადგილობრივი სტადიონების მოწყობა-რეაბილიტაცია განვახორციელეთ.

**— სოციალური პროექტების განხორციელება როგორ მიმდინარეობს?**

— სოციალურად შეჭირვებული მოსახლეობის დახმარება და სპეციალური პროგრამების განხორციელება, ჩვენი მუშაობის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. სწორედ ამიტომ, ამ პროექტების განხორციელებისათვის, 2017 წლის მუნიციპალურ ბიუჯეტში რამოდენიმე ათასი ლარია გათვალისწინებული. სოციალური დახმარების სუბსიდირება ათობით ქვეპროგრამასა და დამატებით რამდენიმე ინდივიდუალურ პროექტს მოიცავს და სხვადასხვა კატეგორიაზე გახლავთ გათვლილი. მათ შორის მოიაზრებიან მრავალშვილიანი ოჯახები, მეორე მსოფლიო ომის მონაწილეები, ასი წლის და მეტი ასაკის უხუცესები, შშმ პირები, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლები და სტუდენტები. ვაფინანსებთ სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ბინის ქირის გადასახადს, ყოველ მე-3 და შემდგომ ახალშობილთა ხარჯებს, ხდება მოქალაქეთა სამედიცინო მომსახურება, მედიკამენტებით უზრუნველყოფა, პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლთა ფინანსური დახმარება, სარიტუალო ხარჯების დაფარვა, დიალიზის სახელმწიფო პროგრამას დაქვემდებარებულთა, დედმამით ობოლ ბავშვთა, ლეიკემიით, ცერებრალური დამბლით, დაუნის სინდრომით და დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური დახმარება და სხვადასხვა ერთჯერადი თუ განსაკუთრებული საჭიროების ფინანსური შეღავათები.

**— სამომავლოდ რა გეგმები გაქვთ?**

— ადგილობრივი ბიუჯეტიდან უამრავი პროექტის განხორციელება იგეგმება, კვლავ გაგრძელდება ინფრასტრუქტურული სამუშაოები, განხორციელდება მუნიციპალიტეტში არსებული გზების რეაბილიტაცია, ტროტუარების, ბორდიურების და ბარიერების მოწყობა, ქუჩების ორმული შეკეთება. მოწესრიგდება გარე განათება. გავაგრძელებთ ინვესტიციების მოზიდვას, რაც დამატებით დაეხმარება ადგილობრივ მოსახლეობას შემოსავლების გაზრდაში.





















# ნიუ დიზაინი

უკანასკნელ წლებში, ქართველი მომხმარებლისთვის, აქტიურად დადგა დღის წესრიგში თანამედროვე დიზაინისა და ხელმისაწვდომი ფასების მქონე სამშენებლო-სარემონტო მასალების ფართო ასორტიმენტის არსებობა. განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა პროდუქტების მაღალმა ხარისხმა და დახვეწილმა, ექსკლუზიურმა სტილმა. შედეგად, ადგილობრივ ბაზარზე გამოჩნდნენ კომპანიები, რომელთაც, მსოფლიო ბრენდებთან თანამშრომლობის საფუძველზე, მიზნად დაისახეს, ადგილობრივი მომხმარებლისთვის სამშენებლო-სარემონტო პროდუქცია უფრო ხელმისაწვდომი გაეხადათ. მათ შორის, ერთ-ერთი წარმატებული გახლავთ კომპანია „ნიუ დიზაინი“, სადაც ფასისა და ხარისხის შესაბამისი თანაფარდობით, მასობრივად ხელმისაწვდომი და კომფორტულია მსოფლიოში ცნობილი დიზაინერების მიერ შექმნილი სარემონტო-დეკორის პროდუქციის შეძენა.

კომპანია „ნიუ დიზაინი“ საკუთარ მომხმარებელს სარემონტო მასალების ფართო არჩევანს სთავაზობს.

„ნიუ დიზაინი“ სარემონტო მასალების საცალო და საბითუმო ვაჭრობას მთელ საქართველოში ახორციელებს. კომპანიის მიზანია მყიდველს საუკეთესო ხარისხის ევროპული ბრენდების პროდუქცია მისაღებ ფასად შესთავაზოს, რაც, სარემონტო მასალების ბაზარზე მის ლიდერობას და მომხმარებელთა ფართო სპექტრს განაპირობებს.

კომპანია ნებისმიერი გემოვნებისა და ბიუჯეტის მქონე მომხმარებელს აკმაყოფილებს, ვინაიდან მარაგში 15000 მეტი დასახელების შპალერის, საუკეთესო ხარისხის შპალერის წებოს, გერმანული მეფერტის ბრენდის წყალ-ემულსიის და ლაქ-საღებავების, 450 მეტი სახეობის ლამინირებული იატაკის, სამშრიანი პარკეტის, კერამოგრანიტისა და კაფელ მეტლახის, იტალიური წებო- ცემენტი საუკეთესო არჩევანი გააჩნია. გარდა ამისა, ერთგული მომხმარებლისთვის შოუ რუმს დაემატა სიახლე - საუკეთესო ხარისხის ესპანური შემრევები და ონკანები.

„ნიუ დიზაინის“ პარტნიორები არიან ევროპაში სახელგანთქმული ბრენდები და დიზაინერები. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, კომპანიაში წარმოდგენილი პროდუქცია ადგილზე რაოდენობაშია წარმოდგენილი და მომხმარებელს მის შესაძენად რამდენიმე თვიანი ლოდინი არ უწევს.

„ნიუ დიზაინის“ განვითარებაზე, დამატებით, დადებითად მოქმედებს ის გარემოება, რომ კომპანიის დირექტორი და დამფუძნებელი აქტიურად არიან ჩართულები მუშაობის პროცესში და თავად ეხმარებიან მომხმარებელს კომპეტენტური გადაწყვეტილების მიღებაში. სწორედ ასეთი დამოკიდებულება აძლევს სტიმულს სავაჭრო ცენტრებსა და ფილიალებში დასაქმებული რიგითი კონსულტანტების და მენეჯერების თავდაჯერებულობას და პროფესიონალიზმს.






თბილისი. კახეთის გზატკ., ეკ. ბაღდავაძის 20
ტელ: (032) 271 64 01
მობ: (591) 00 64 01
**E-mail: giorgii2004@gmail.com**
**www.newdesign.ge**






# NEW DESIGN













ბოლო სამი წლის განმავლობაში, ამბროლაურის რაიონის მუნიციპალიტეტში, მისი გამგებლის, ბატონ მალხაზ ლომთაძის ხელმძღვანელობით, 608-ზე მეტი სასიცოცხლო მნიშვნელობის პროექტი განხორციელდა, ხოლო ათეულობით მათგანი, გეგმით გათვალისწინებული დასრულების სტადიაშია. წარმატებით მიმდიანრეობს შიდა სასოფლო გზების რეაბილიტაცია, ბეტონ-საფარიანი გზების და სანიაღვრეების მოწყობა, წყალსადენების აღდგენითი სამუშაოები, სასმელი წყლის მაგისტრალებისა და სათავე ნაგებობების განახლება. ხდება ნაპირსამაგრი ჯებირების მოწყობა და ხიდების აღდგენა. გარდა ამისა, მალე დასრულდება ნაპირსამაგრი ჯებირის გამაგრება, სარიტუალო სახლების კეთილმოწყობა და სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრის მშენებლობა. განსაკუთრებულ მნიშვნელობას, ადგილობრივი მაცხოვრებლები, ქვედა შავრაში განხორციელებულ სასმელი წყლით მომარაგების პროექტს ანიჭებენ და აღნიშნავენ, რომ სოფელს, წყალი თავისი არსებობის მანძილზე, მანამდე არასდროს ჰქონია.  გარდა ამისა, მუნიციპალიტეტის ცხოვრებაში, კვლავაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს მოსწავლე ახალგაზრდობის გამაჯანსაღებელ, სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებს.























# MTM

**Director: Mevlud Getsadze**





Leselidze st. L2. N2
Terjola, Georgia

Agmaschenebeli AVE N81.
Kutaisi, Georgia

Office: +995 0 790 702 302;
+995 (0) 431 25 13 25
Mobile: +995 599 58 77 48

**Email: ltdmtm@gmail.com**





Ltd
# ARALI

E-mail: info.arali@gmail.com



შპს
# არალი







LTD ARALI

ქალაქი ახალციხე,
აბასთუმნის გზატკეცილი №3.
ტელ.: 0356 22 32 69





















KOPOS ELECTRO LTD
www. kopos.ge
Tbilisi. 13 Kiziki Str. Office: +995 322 36 81 91
E-mail: info@kopos.ge

„KOPOS ELECTRO“ გახლავთ ჩეხური კომპანია „OEZ”-ის ოფიციალური წარმომადგენელი საქართველოში. ბაზარზე 70 -წლიანი მუშაობის შედეგად კომპანია „OEZ”-ი, ავტომატური გამომრთველებისა და დამცავების მწარმოებლისაგან გადაიზარდა კომპლექსურ მომწოდებლად, პროდუციისა და ელექტრონული ჯაჭვების, ასევე დაბალი ძაბვის აღჭურვილობის დარგში. 2007 წლიდან კომპანია „OEZ”-ი გახლავთ SIEMENS ჯგუფის წევრი. კომპანიის პროდუქციის პროგრამას წარმოადგენენ შემდეგი მასალები:

- სამოდულო ხელსაწყო (სერია Minia);
- კომპაქტური ავტომატური გამომრთველები (სერია Modeon);
- დამცავი სისტემები (სერია Varius);
- გამანაწილებელი ფარები და კარადები (სერია Distri);
- – საკომუტაციო და მმართველი ხელსაწყოები (სერია Conteo).

კომპანია „OEZ”-ის პროდუქტი წარმატებით გამოიყენება ენერგეტიკის სფეროში, ინფრასტრუქტურაში, მრეწველობასა და მშენებლობაში.






KOPOS



Wiring Boxes



Wiring Trunkings



Wiring Pipes



Cable trays



Cable trays



Cable Ladders



Floor Installations



Fixing Materials

# ჩვენთან მკურნალობის ყველა საკითხი მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომით წყდება



მიმართე პლაზმაფერეზის ეროვნულ ცენტრს - გაიხანგრძლივე ახალგაზრდობა, შეაჩერე სიბერე!"- სწორედ ასე ჟღერს კლინიკა „პლაზმამედის“ დევიზი, რომელიც თანამიმდევრულად და წარმატებულად ცდილობს საქართველოში დანერგოს თანამედროვე მედიცინაში ყოვლად განსხვავებული და უნიკალური მკურნალობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და ფრიად ეფექტური მეთოდი. აღსანიშნავია, რომ პლაზმაფერეზის პროცედურების მეშვეობით, დაავადებულთა უმრავლესობა იკურნება ან გადადის ხანგრძლივი რემისიის ფაზაში, ხოლო თავად სამკურნალო პლაზმაფერეზი 100-ზე მეტი დაავადების თუ პათოლოგიის დროს გამოიყენება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ პროცედურის უკუჩვენებას, რაოდენობას, სიხშირესა და მეთოდს ექიმი-ტრანსფუზიოლოგი პაციენტის მონაცემების მიხედვით, სრულიად უფასო კონსულტაციის შემდეგ განსაზღვრავს. პაციენტზე ზრუნვის პროცესში ჩართულია ცენტრის ყველა დარგის წამყვანი სპეციალისტი: თერაპევტი, გერიატრი, ნევროლოგი, ქირურგი, კარდიოლოგი, რევმატოლოგი, ნეფროლოგი, უროლოგი, პულმონოლოგი, ფტიზიატრი, ოტორინოლარინგოლოგი, ქირურგი, მამოლოგი, გინეკოლოგი, რეპროდუქტოლოგი, სექსოლოგი, პედიატრი, ლოგოპედი, ფიზიოთერაპევტი, ფსიქოლოგი, დერმატო - ვენეროლოგი, დერმატო - კოსმეტოლოგი, კოსმეტოლოგი, მამოლოგი და ენდოკრინოლოგი, რომელთა მეშვეობით ტარდება მრავალი კლინიკო - ლაბორატორიული და აპარატული გამოკვლევები. ამ და სხვა სიახლეების გასაცნობად, ჩვენ „პლაზმამედის“ ხელმძღვანელს, ქალბატონ **დინარა რამიშვილს** გავესაუბრეთ...

**- ქალბატონო დინარა, მოგვიყევით თქვენი კლინიკის შესახებ ....**

-საქართველოს სამკურნალო პლაზმაფერეზის ეროვნული ცენტრი „პლაზმამედი“ მრავალპროფილური კლინიკაა. მისი ძირითადი მიმართულება პროფილაქტიკური მედიცინა გახლავთ, რომელიც ფართოდ გამოიყენება მრავალი დაავადების პრევენციისთვის. ცენტრის ძირითად ამოცანას პლაზმაფერეზით 100-ზე მეტი დაავადების მკურნალობა წარმოადგენს. მათ შორისაა - აუტოიმუნური დაავადებები, ჰიპერქოლესტერინემია, შაქრიანი დიაბეტი, ალერგიული დაავადებები, ბრონქული ასთმა, სხვადასხვა სახის დერმატიტები, ფსო-





რიაზი, უშვილობა, ორსულთა პათოლოგიები და მრავალი სხვა. გარდა ამისა, კლინიკაში ფუნქციონირებს ფიზიოთერ-აპიული განყოფილება, სამკურნალო და გამაჯანსაღებელი მასაჟები და პროფილაქტიკური სამკურნალო-სამედიცინო კოსმეტოლოგია.

**- რით გამოირჩევით სხვა სამკურნალო დაწესებულებე-ბისაგან?**

- „პლაზმამედი“ მრავალი ინოვაციური ტექნოლოგიების კერაა. ჩვენთან განუწყვეტლივ ინერგება სიახლეები, რო-



მელთაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის პრაქტიკული მნიშ-ვნელობა გააჩნია, როგორც აწყმოში, ისე სამომავლოდ, პრე-ვენციული თვალსაზრისით. გარდა ამისა, პრინციპულ მნიშვნელობას ვანიჭებთ იმ ფაქტს, რომ ადამიანს მყისიერად სჭირდება შედეგი, რათა გაუჩნდეს სამომავლო მოტივაცია და მაქსიმალურად იზრუნოს, როგორც შედეგის შესანარჩუნე-ბლად, ასევე მისი გაუმჯობესებისთვის. ყველა ადამიანი სი-ბერეს ჯანმრთელი და ლამაზი უნდა შეხვდეს. პრევენციული მედიცინა სწორედ ამიტომაა ეფექტური ფსიქოლოგიურად და ეკონომიკურადაც.

**- დღეისათვის, რამდენად აქტუალურია პროფილაქ-ტიკური მკურნალობა?**

- ჩემი ოცნებაა, კლინიკაში შემოვიდეს ადამიანი და მით-ხრას: „ ექიმო, არაფერი არ მაწუხებს, ჩამიტარეთ პროფილაქ-ტიკური გამოკვლევები“. ვისურვებდი, ეს ახალგაზრდა ასაკ-შივე ხდებოდეს, სანამ დაავადებებს თავი არ უჩენია. სამწუხ-აროდ, 35-40 წლის ასაკიდან იწყება დაავადებათა „დაგროვე-ბა” და შუახნის ადამიანს უკვე 3-4-5 სხვადასხვა ქრონიკუ-ლი დაავადება აქვს, რომელიც თავისუფლად შეიძლებოდა თავიდან აგვეცილებინა დროული პროფილაქტიკით. სწორედ ამიტომ, ჩვენს ცენტრში ბევრი ღონისძიებაა დანერგილი, მათ შორის, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პლაზმაფერ-ეზის პროცედურები და თმის ღერის ანალიზი, რომელიც ექსკლუზიური უფლებით საზღვარგარეთ ტარდება. განსაკუთრებით მინდა გა-ვამახვილო ყურადღება ამ ან-ალიზის დიდ მნიშვნელობაზე, რამეთუ, მსოფლიოს გამოჩე-





ნილი ვარსკვლავები, უმეტესად სპორტსმენები, სწორედ ამ მეთოდით ხელმძღვანელობენ, რათა კარგ შედეგებს მიაღწიონ და შედეგი თუ სილამაზე შეინარჩუნონ. ჩვენს სპორტის მეს-ვეურებს მოვუწოდებ, განსაკუთრებული ყურადღება გამ-ოიჩინონ ზემოხსენებული ანალიზის მიმართ, რადგან ეს კვ-ლევა მ,ართლაც ფასდაუდებელია სპორტსმენთა კარგი ფიზ-იკური მომზადებისთვის.

**- როგორც ვიცით, განსაკუთრებულ ყურადღებას უთ-მობთ კოსმეტოლოგიას...**

- კლინიკაში მართლაც დანერგილია სამედიცინო-სამკურნალო კოსმეტოლოგია ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის (15-20) (20-35) (35-50) (50-80), მათი თავისე-ბურებების გათვალისწინებით. ეს მიდგომა, როგორც გამოკვლევების, ასევე მკურნალობის მიხედვით, სრულიად ახალი და განსხვავებულია. თანამედროვე ინექციურ კოს-მეტოლოგიასთან ერთად, რომელიც მეზოთერაპიას, ბიორ-ევიტალიზაციას, ბოტოქსს აერთიანებს, ასევე ფართოდ გამოიყენება აპარატული მეთოდის სხვადასხვა ხაზები, სახ-ის კანის მოვლის ლაზერული და ფიზიოპროცედურები, მოდ-ელირების მეთოდოლოგია არაინექციური ფილერებით სახ-ის კანისთვის და ტუჩებისთვის, ნაოჭების შევსება და ტუჩე-ბის კორექცია. შეგახსენებთ, რომ არაინექციური პროგრა-მის უპირატესობაა სწრაფი შედეგი და მათი პროლონგირე-ბული მოქმედება, პაციენტის სოციუმისგან მოუწყვეტად მკურნალობა. პარალელურად შესაძლებელია ინექციური პროგრამაში ჩართვა და ესთეტიკური პრობლემის გადაწ-ყვეტა. გარდა ამისა, უსისხლო, უსაფრთხო, უმტკივნეულო მე-თოდია და კანის მთლიანობა არ ირღვევა.

**- „პლაზმამედიში“ კიდევ ერთი სიახლეა...**

- როგორც მოგახსენეთ, ჩვენთან მკურნალობის ყველა საკითხი მხოლოდ ინდივიდუალური მიდგომით წყდება და თითეული პაციენტი ზედმიწევნით მნიშვნელოვანია კლინი-კისთვის. სწორედ ამ მხრივ, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია „პლაზმამედიში“ შექმნილი „საერთაშორისო ხანდაზ-მულთა კლუბი“, რომელიც თავისი უნიკალური პროგრამით საქართველოში პირველია. კლუბი საერთაშორისოა და ჰუმან-



იტარულ ხასიათს ატარებს. მისი მიზანია ხანდაზმულებს და არა მარტო მათ, დაეხმაროს ჯანმრთელობის შენარჩუნება-ში ფიზიკურ, სულიერ და სო-ციალურ ასპექტებში. გათვალ-ისწინებულია დაბერების პრო-ცესების შეჩერება და აქედან გამოწვეული დაავადებების გან-ვითარების პრევენცია. მათთვის განკუთვნილია კომფორტუ-ლად აღჭურვილი ფართი, ლაბორატორიით, მრავალმხრივი საპროცედურო კაბინეტები ფიზიოთერაპიული განყო-ფილებით, კოსმეტოლოგიური კაბინეტით, საზეიმო დარბაზი, კაფე სასტუმრო და დასასვენებელი კურორტული ზონები - ბორჯომი, „თეთრი ტბა“ , სადაც შეუძლიათ მიიღონ სტუმრე-ბი, მეგობრები, არ იგრძნონ სიმარტოვე და მათი სიცოცხლე გახდეს შინაარსიანი.



ფილების საწარმო

შპს „LEGI", რომელმაც საქართველოში თავისი საქმიანობა 2012 წლის მარტში დაიწყო, უახლესი ტექნოლოგიებით ამზადებს ოცდაათამდე სახის ბეტონის ნაკეთობას.

კვალიფიციური პერსონალი, უნიკალური დანადგარები და მაღალი ხარისხის სტანდარტები არის ჩვენი კომპანიის წარმატების საფუძველი.

დაცულია საერთაშორისო სტანდარტები. ჯერ კიდევ, რამდენიმე ათეული წლის წინ, საქართველოში გამოყენებული ბეტონის ფილები და ბორდიურები იწარმოებოდა ჩვეულებრივი ტექნოლოგიის გამოყენებით - ყალიბში ჩამოსხმით, რაც ვერ უზრუნველყოფდა მაღალ ხარისხს - სათანადო სიმტკიცეს და არ პასუხობდა ესთეტიკურ მოთხოვნებს.

ბეტონის პროდუქცია არ გამოირჩეოდა საექსპლუატაციო ვადის ხანგრძლივობითა და ატმოსფერული ზემოქმედების მიმართ მედეგობით, რაც გამოიხატებოდა ზედაპირის ცვეთითა და დაზიანებით.





**Legi**

**TILES FACTORY**











ერთფეროვნებისა და არჩევანის სიმცირის გამო, ბეტონის საფარი მონოტონურად და არაესთეტიურად გამოიყურებოდა.

ვითარება საგრძნობლად შეიცვალა მას შემდეგ, რაც ექსპლუატაციაში შევიდა „LEGI"-ს საწარმო, რომელიც აღჭურვილია უახლესი ტექნიკით. გამოიყენება სრულყოფილი ტექნოლოგიები, რაც საშუალებას იძლევა დამზადდეს ბეტონის ნაკეთობები ვიბრო-წნეხვის მეთოდით წარმოების ნახევრად ავტომატურ რეჟიმში.

დაიწყო ქვაფენილისა და ბორდიურების წარმოება. მათი ასორტიმენტი გამოირჩევა ფორმის, ფერის, ფაქტურისა და პარამეტრების მრავალფეროვნებით. ასევე გამოიყენება ატმოსფერული ზემოქმედებისადმი მედეგი პიგმენტები და დანამატები.

„LEGI"-ს პროდუქციის სერთიფიცირებას და გამოცდას აწარმოებენ დამოუკიდებელი ლაბორატორიები.













საქართველო, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა,
ქობულეთი. სოფელი ხუცუბანი.
მობ: + 995 592 200 919
www.facebook.com/legikobuleti
Email: info@legi.ge www.legi.ge



# CAPAROL

## მუდამ წარმატებული კომპანია

წლების წინ, როდესაც თბილისში DAW-ს ფირამათა ჯგუფის ახალი საწარმო „კაპაროლ ჯორჯია“ გაიხსნა, ექსეპრტები, სამშენებლო კომპანიები და არქიტექტორები წინასწარ იყვნენ დარწმუნებული მის სამომავლო წარმატებაში. მართლაც, ამ ხნის განმავლობაში "კაპაროლ ჯორჯიამ" ძალზედ მნიშვნელოვან შედეგებს მიაღწია - გააფართოვა სადილერო ქსელი, გაზარდა პროდუქციის ასორტიმენტი, განამტკიცა პოზიციები სამშენებლო მასალების ბაზარზე და მონაწილეობა მიიღო მრავალ საზოგადოებრივ წამოწყებაში. კომპანიის მთავარი მიზანი გერმანული ხარისხის დაცვა, ინოვაცია, ხარისხი და გარემოზე ზრუნვა გახლავთ. „კაპაროლ ჯორჯია“ აწარმოებს დისპერსიულ საღებავებს (საგრუნტავებს, ფასადისა და ინტერიერის საღებავებს) და იძლევა პროდუქციის გერმანულ ხარისხთან შესაბამისობის 100%-იან გარანტიას, რის საფუძველსაც ევროპული დანადგარები და ნოუ-ჰაუ წარმოადგენს, გარდა ამისა ახორციელებს პროდუქციის იმპორტს გერმანიიდან და CAPAROL-ის სრულყოფილ ფართო ასორტიმენტს ქმნის.









აღსანიშნავია, რომ ახლახან, თბილისში თანამედროვე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი, ევროპაში სერტიფიცირებული მშრალი მასალების - ცემენტის ბაზაზე დამზადებული წებოების, ბათქაშებისა და ფითხების მწარმოებელი ქარხანა გაიხსნა, რომელიც ყველა ევროპულ სტანდარტს პასუხობს და გარემოსთვის აბსოლუტურად უსაფრთხო გახლავთ.

კონცერნის უცხოელი ტოპმენეჯერები, სამშენებლო კომპანიების წარმომადგენლები და დეველოპერები თანხმდებიან, რომ შედეგად მივიღეთ ბიზნესის გაფართოების და განვითარების საშუალება, ახალი სამუშაო ადგილები. იმპორტირებულ პროდუქციას, ნაწილობრივ ადგილობრივი ნაწარმი ჩაანაცვლებს, რაც საქართველოს ეკონომიკისა და ასევე საექსპორტო პოტენციალს გაზრდის და გააძლიერებს.

ალსანიშნავია, რომ ძირითადი პროდუქტები (წებოები, საარმირო მასები, ბათქაშები), რომლებიც ახალ ქარხანაში იწარმოება, გამოიყენება ფასადის დათბუნების სისტემებში, რომლის მნიშვნელობა მსოფლიო მასშტაბით საკმაოდ გაიზარდა. ამ სისტემების მთავარი დანიშნულება ენერგორესურსებზე ხარჯების ეკონომია და ენერგიის მოხმარების შედეგად წარმოქმნილი გარემოზე ნეგატიური ეფექტის შემცირებაა. ბაზარზე მსგავს პროდუქციაზე მზარდი მოთხოვნის, ხელსაყრელი უცხოური საინვესტიციო პირობებისა და გარემოს გათვალისწინებით, კონცერნმა DAW-მ, რომლის ნაწილიცაა „კაპაროლ ჯორჯია“, გადაწყვიტა ამ ქარხნის აშენებისათვის განეხორციელებინა ინვესტიცია, რამაც ადგილობრივი წარმოების გაჩენას ჩაუყარა საფუძველი.

რაც შეეხება კონკრეტულად ფასადის დათბუნების სისტემებს, - კაპაროლი მომხმარებელს თანამედროვე ტექნოლოგიებს სთავაზობს, რაც საშუალებას იძლევა აშენდეს ენერგოდამზოგი შენობები, რომლებიც უძლებენ დროს, აკმაყოფილებენ ეკოლოგიურობის ნორმებს და შეესაბამებიან ბაზრის მზარდ მოთხოვნებს.

ალსანიშნავია, რომ ოპტიმალურად დათბუნებული ფასადი არამხოლოდ ამცირებს გათბობის ხარჯებს და ახანგრძლივებს შენობის მდგრადობას, იგი აგრეთვე ზრუნავს მაცხოვრებლის კომფორტზე და აძლიერებს დაცულობის შეგრძნებას სამსახურსა თუ სახლში.

ფასადის დათბუნების სისტემის ხარისხი განისაზღვრება სამი ფაქტორით: 1. თბოიზოლაციური თვისებები 2. მდგრადობა 3. მომხიბვლელობა. ამიტომ, კაპაროლი, ფასადების დათბუნების სფეროში პიონერი კომპანია, უკვე 50 წელია უკანასკნელი ინოვაციების წყალობით მუშაობს ფასადის თბოიზოლაციის ენერგო ეფექტურობის, გამძლეობისა და მიმზიდველობის გაზრდაზე.

კომპანიამ შეიმუშავა ფასადის დათბუნების სამი სისტემა, რომლებიც განსხვავებულ მოთხოვნებს პასუხობს და უმაღლესი ხარისხის კომპონენტებისაგან შედგება, რაც გაცილებით ამარტივებს კაპაროლის მასალებთან მუშაობას. ეს ყველაფერი უადვილებს მომხმარებელს არჩევანს და უზრუნველყოფს სისტემის უსაფრთხოებას ადგილზე მონტაჟისას.

დასასრულს, გვინდა ალვნიშნოთ, რომ კაპაროლის პროდუქცია გამოყენებ-ის განსაკუთრებული სიმარტივით გამოირჩევა. Caparol-ის მასალების შეფერადება შესაძლებელია ColorExpress-ის კომპიუტერულ დანადგარზე. კომპანიის მომხმარებლებს ნებისმიერ დროს შეუძლია ისარგებლოს კვალიფიციური კონსულტანტების მხარდაჭერით, Caparol-ის დამხმარე სამუშაო მასალებით, კომპიუტერული პროგრამებითა და ნიმუშებით, რომელთა საშუალებითაც ისინი უკეთ შეძლებენ თავიანთი ჩანაფიქრების რეალიზებას.

# ფასადის დათბუნების სისტემები

- შეამცირე დანახარჯი 40%-ით გათბობასა და გაგრილებაზე.
- შეინარჩუნე ჯანსაღი მიკროკლიმატი მთელი წლის განმავლობაში.
- დაიცავი სახლი დაზიანებისგან.

**თბილი. ლამაზი. ძლიერი.**



www.caparol.ge

# ამბროლაურგზა-7

საგზაო-სამშენებლო კომპანია „ამბროლაურგზა-7“ 1937 წელს, გამოცდილი სპეციალისტების მიერ არის დაარსებული და იქიდან მოყოლებული მუდმივად ვითარდება.

შპს „ამბროლაურგზა-7“-ს ბატონი დავით მიქიაშვილი უკვე 4 წელიწადია ხელმძღვანელობს და კომპანიის ძირითად საქმიანობას გზების და ხიდების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, მათი ექსპლუატაციისთვის მომზადება და ინერტული თუ სამშებლო მასალების წარმოება-რეალიზაცია წარმოადგენს.

დღეისათვის კომპანიას გააჩნია, საკუთარი ბაზები ამბროლაურის რაიონში, საჭირო საგზაო მანქანა-მექანიზმები, მშენებლობისთვის შესაბამისი აღჭურვილობით და ასფალტის საწარმოო-გადამამუშავებელი ქარხანა.

საგზაო- სამშენებლო სფეროში კომპანიის დიდ გამოცდილებაზე მის მიერ პირნათლად ჩაბარებული ობიექტების ჩამონათვალი მეტყველებს. თავისი არსებობის მანძილზე შპს „ამბროლაურგზა-7“-მა მართლაც მნიშვნელოვანი მოცულობის საგზაო-სამშენებლო პროექტები შეასრულა და მზადაა სამუშაოები უგზოობის, დასახლებული პუნქტების არარსებობის პირობებში და ძნელად მისადგომ ადგილებში აწარმოოს.

ობიექტების მშენებლობის პროცესში კომპანია თანამედროვე მასალებსა და ტექნოლოგიებს იყენებს. სახელმწიფო სტანდარტების შესაბამისობა და მაღალი ხარისხი კომპანიის საქმიანობის ძირითადი მახასიათებელია, ხოლო ნდობა -წარმატების მთავარი საწინდარი. კომპანიის დიდი პასუხისმგებლობა შესაძლებლობას იძლევა ყოველთვის იყოს დაცული მშენებლობის ვადები და შესრულების პირობები.

შპს „ამბროლაურგზა-7“ ათეულობით თანამშრომელს აერთიანებს და მათი პროფესიონალიზმის შედეგია ის, რომ. პროექტების ჩაბარება დროულად, წინასწარ განსაზღვრულ ვადებში ხდება. კოპმანია მუდმივად ღებულობს მონაწილეობას ტენდერებში და შეკვეთას ყოველთვის პირნათლად ასრულებს.

კომპანია „ამბროლაურგზა-7“ ასრულებს, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო დაკვეთებს
















WWW.GUMBATIGROUP.GE
ვერეს უბანი
ქ.თბილისი,თარხნიშვილის ქუჩა 2
5-6 სართულიანი საცხოვრებელი სახლი
ფართობი: 10 000 კვ.მ
მშენებლობის პერიოდი: (2013-2014)
ბინები 50 კვ.მ - დან
გაყიდვების ოფისი:
ბათუმი, შ. ხიმშიაშვილის ქ.№1
Mob: +995 557 100 100
+995 557 500 500
გაყიდვების ოფისი:
თბილისი, თარხნიშვილის ქ. №21
Mob: +995 599 525 525
+995 599 522 522
welcome@gumbatigroup.ge
www.gumbatigroup.ge
ჯგუფი
გუმბათი
მშენებლობა და განვითარება


სუბტროპიქსითი
მრავალფუნქციური საცხოვრებელი კომპლექსი
SUBTROPICITY
MULTIFUNCTION DWELLING COMPLEX
მშენებლობა და
განვითარება
WWW.SUBTROPICCITY.GE
1 SHERIF KHIMSHIASHVILI STREET, BATUMI
MOB: + 995 557 500 500 + 995 557 100 100
info@subtropiccity.ge
ჯგუფი
გუმბათი



ცხოვრება ზედმეტი ხარჯის გარეშე

# ფასადის თერმოიზოლაცია